სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 808

დამატების № 142

კვირა, 27 იანვარი 1913 წ.

ფსიხეა.—ნახატი ფუმანისა.

ხალხის ცრემლებო!

ხალხის ცრემლებო, ხალხის ცრემლებო!
ოჰ, რა მწვავეა თქვენი სახელი,
გულის დამთუთქი, ვით ცეცხლის ღველფი
და ურვა, გლოვის გამომსახველი...
ხალხის ცრემლებო!—ჩუმად, ფარულად,
სადმე კუთხეში სთოვთ სივაგლახეს
და ბნელი ღამე უდაბურების
თვის შავ კალთაში ჰფარავს თქვენს სახეს!
ცა კი ბრმა არის, იგი ვერ გხედავთ,
ცივია მიწა, მის მკერდს ვერ სწვდებით
და საიდუმლოდ წარმოშობილნი
კვლავ უკუ ქცევით უკვალოდ ჰქრებით!..
და ეგრედ, მხოლოდ თქვენს მოწმედ ჰხდება,
იმავე სულის ქვითინი მწარე,—
ვინც თქვენ წარმოგშვათ—და მის გარეშე
ცივია ყველა როგორც სამარე!..

ხალხის ცრემლებო!—თქვენგან ყოველგან,
სველნი არიან ცხოვრების გზანი,
მაგრამ უაზროდ რად სწყდებით თვალთა
ნუ თუ გლოვაა თქვენი მიზანი?!.

ხ. ფაშალიშვილი.

მოხუც ბრალმდებლის ზღაპარი

(მოთხრობა მ. არციბაშევისა).

(დასასრული *)

პირველად ჩვენს თვალს ძალზე გაჩაღებული ტალანი წამოუდგა, მერე რაღაც გასაკვირველი დარაჯის ფიგურა... მახსოვს საცოდავ დარაჯის გამომეტყველება. ტალანში დგომით კი იდგა, მაგრამ როგორ იდგა!—ისე მაგრა მიჰკროდა კედელს, რომ გეგონებოდათ მასთან შეხორცება მონდომიაო, თოფის ლულა და პირისახე უაზროდ ჰქონდა მიქცეული... იმისთანა სტიქიური საშინელება ჩემს დღეში არ მინახავს! ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ მის ძარღვებს უკანასკნელ ძალის დატანებამდე მიეხწია, საკმარისი იყო უცაბედათ დაკივლა, დასტვენა ან განძრევა, რომ დარაჯი ჰკუაზე შემცდარიყო და განურჩევლად სროლა დაეწყო... გესმით, სდგას და არინძრევა, გონება სხვაგან წასვლია, თვალები აცა-ბაცა გაურბის...

ამ ჩონჩხის დანახვაზე ვიღაცას გაეცინა, მაგრამ უცბად ისევ შეჩერდა, რადგანაც ამ დროს ჩვენ იმ ავაზაკის თავი შევამჩნიეთ.

ვიწრო კარების ფანჯარაში უმოძრაო მკვდარი, სანთელივით გაყვითლებული თავი თვალწინ წარმოგვიდგა... ამ თავს არავითარი გამომეტყველება, არავითარი სიცოცხლე არ ეტყობოდა. სახეზე ორი ვებერთელა თვალი ნათლად გამოიყურებოდა... ეს თვალები ოდნავ ინძრეოდნენ, გულმოდგინედ სცდილობდნენ, რომ სუყველაფერი ერთად დაენახათ. ისინი ჩვენ მოგვჩერებოდნენ. ისე მეჩვენა თითქოს თვალების კაკლები გადმოცვივნას ლამობდნენ... მათი გამომეტყველება ორი დღის კუბოში ნადებ მკვდრის გამომეტყველებას ემსგავსებოდა.

ყველანი უეცრივ შევჩერდით. ვიღამაც ამოიოხრა, ვიღაცამ ფეხი დამადგა და ცოტა გაწყდა ყველანი ცხვრის აბნეულ ფარასავით უკანვე არ გავიქეცით... მაგრამ უეცრივ ყველანი მის ავაზაკობის მოგონებამ აათრთოლა. ყველას უნდოდა, რომ ამ თავს, რაც უნდა ის ჩაედინა, ოღონდ კი მათთვის არ ეცქირნა. გაქცევის მაგივრად ყველანი კარებს მივცვივდით. ციხის უფროსმა შეშინებული ხმით წამოიყვირა:

— აბა, აბა, აბა... შენ!

მაგრამ ამ ალიაქოთის და ყვირილის დროს თავი არ განძრეულა. მან მხოლოდ შესაზარი თვალები ჩვენსკენ გადმოატრიალა და მერე ისევ დამშვიდდა. როგორღაც მოხდა, რომ ყველაზე წინ მოვექცეი, მისი სისხლ-მორეული თვალები ჩამაშტერდა და შიგ გულამდის ჩამწვდა.

ისტერიკული ბნედა მომივიდა, რომლის გამოც ორი თვე საავადმყოფოში ვიწექ, როდესაც მოვრჩი დაუყონებლივ სამსახურიდან დავეთხოვე.

დარაჯმა მერე გვიამბო, რომ ის თავი იმ ფანჯარაში წინა ღამეს გამოჩენილიყო. ფრთხილად გამოეხედნა, მერე დამალულიყო, ბევრი წვალების შემდეგ ვასის-დასი გაეღო და შიგ თავი გამოეყო, თურმე მთელი ღამე ასე ჰკიდებულიყო. პირველში ყვირილი დაეწყო და როდესაც დარაჯს ხიშტი მოეღერებინა, გაჩუმებულიყო.

მკვლელი ტანდაბალი იყო და რომ ვასის-დასში თავი გაეყო უნდა ფეხის ფრჩხილებზე შემდგარიყო. ვასის-დასიც პატარა იყო და როდესაც იქიდან თავის გამოღება სდომნოდა ყურებიდან ტყავი სულ გადასძრობოდა... მთელი ღამე თურმე ისე გაშტერებული იდგა, ალბად უნდოდა ყოველივე წვრილმანის დანახვა: სინათლე, დარაჯი თავისი თოფით... სუყველაფერი, რომ სიკვდილამდის უნახავი აღარაფერი დარჩენოდა.

კარგი იქნებოდა რომ ვიცოდეთ: იგონებდა თუ არა თავის მსხვერპლებს?.. არა მგონი!.. თავის სიცოცხლე ყველას ერჩივნა! და როდესაც მას ართმევდნენ, ყველაფერი, მე მგონი, არარად ეჩვენებოდა. განა შეეძლო ეფიქრნა მას, რომ სამაგიეროდ ჯილდო ელოდა?.. და თუ თავის მსხვერპლები აგონდებოდა, ალბად საშინლად ბრაზდებოდა, რომ იმისთანა წუწკებისთვის იღუპებოდა!.. რომ შესძლებოდა ხელმეორედ იმისთანა არაჩვეულებრივი სიმხეცით და იმისთანა ავხორცობით მოჰკლავდა, რომ მთელი ქვეყანა გაეკვირვებინა... სწორედ იმიტომ, რომ ის იმათთანა წუწკებისთვის, ამნაირ ტანჯვას იტანს. რაღა გავაგრძელო! გადმომცეს, რომ სიკვდილის წინ, თურმე, სულ მთლად დამშვიდდა. სახრჩობელას თამამად მიუახლოვდა და სკამზედაც თავისუფლად ავიდა, სანამ უდარას და თოკს აწყობდნენ, ჰკვიანად იდგა და თან ბუტბუტებდა:

— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა...

ბუტბუტებდა, ალბად თავისთვის რამეს ლაპარაკობდა. სიტყვების დათავებას ვერ ასწრობდა და ბოლოს ისე ჩქარდაეწყო ლაპარაკი, რომ ადამიანი ვერაფერს გაარჩევდა. მერე, როდესაც სახრჩობელადან მისი გვამი ჩამოელოთ და ჯალათს სუდარა აეხადნა, თმა სულ გათეთრებული ჰქონოდა. დაბერდა ორი-სამი წუთის განმავლობაში, იმ დროს როდესაც სუდარა ჩამოცმული ვერაფერსა ჰხედავდა, ყელზე კი მტარვალის ხელების ცაცუნსა ჰგრძნობდა.

მოხუცებულმა ბრალმდებელმა დაისხა ღვინო დალია და მთელი ნიკაპი ჩამოიწუწა. გამომძიებელი მის მოკლე თითებს მისჩერებოდა. ვერიგინს წარმოუდგა, რომ ეს მოკლე თითები სუდარა ჩამოცმულ კაცის ყელზე ობობასავით დაცოცამენ და კაცი კი ერთ და იმავე სიტყვებს იმეორებს:

— ჩქარა, ჩქარა...

— ასე, ჩემო მეგობარო,—დაიწყო ბრალმდებელმა, მის ხმას არაჩვეულებრივი სინაზე ეტყობოდა.—ამის მოთხრობა ისე, როგორცა ჰგრძნობ, შეუძლებელია, და ჩემის აზრით, აქნობამდის ვერავის ვერ უგრძვნია ის საშინელბა, რასაც სიკვდილით დასჯა წარმოადგენს. ვერ წარმოუდგენიათ, რომ ამნაირ განზრახულ ავკაცობის დროს, სხეულზე ადრე სულსა ჰკლავენ!.. წარმოიდგინეთ ისინი, რომელნიც ამნაირ მკვლელობაში მონაწილეობას იღებენ, თავის თავს დამნაშავედ არას დროს არა სთვლიან... ეს კიდევ არაფერი... ერთნი მკვლელს იჭერენ, მეორენი სდარაჯობენ, რომ არ გაიქცეს, მესამენი საქმეს არჩევენ და სიკვდილით დასჯას უწყვეტენ, ერთი რომელიმე გენერალი ხელის მოწერით განაჩენს დაამტკიცებს. ბოლოს ჰკლავს, ახრჩობს მტარვალი. ამ მტარვალზე, რომელიმე გლეხ-კაცზე, მთელი ბოროტება დამყარებული. მე მგონია, ეს ხელიდან ხელში გადაცემის ბოროტების კიბე რომ არ არსებობდეს, ხელის მოწერის მაგიერ თითონ ახრჩობდეს, მსაჯულები კიდევ სუდარას აცმევდნენ და კანონის გამომცემლებს თითონ ეჭიროთ ხელში ის კაცი, რომელიც სიკვდილს ასხლე-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 141.

ამბოხება ოსმალეთში.

ე ნ ვ ე რ - ბ ე ი და **თ ა ლ ა ა თ - ბ ე ი** (შინაგან საქმეთა მინისტრი), რომელთაც მოჰკლეს ნაზიმ-ფაშა.

ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი **ნაზიმ-ფაშა**, რომელიც მოჰკლეს

მცხეთის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა და საბჭო.

(იხ. დღევანდელი გაზეთი).

ტასა სცდილობს, მაშინ არავითარი სიკვდილით დასჯა ქვეყანაზე არ იქნებოდა!.. სხვანაირად, რომ ვსთქვათ, მთელი ქვეყანა ათასნაირ ავაზაკებით სავსე იქნებოდა. არა, ეს ასე არ არის!.. საქმე იმაშია რომ ამნაირ წესწყობილებაში ბოროტმოქმედნი არ არიან: ისინი ვინც, ავაზაკს იჭერენ, ვინც სიკვდილით დასჯას უწყვეტენ, ისინი სასჯელს არ უყურებენ, ცოცხალ ხალხს არ ახრჩობენ და ფიქრობენ, რომ ეს იმათზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ისინი თავის მოვალეობას ასრულებენ... ბევრი მათგანი მოქალაქურ სიამაყესა გრძნობს. როდესაც ის გენერალი, რომელმაც სიკვდილით დასჯას ხელი მოაწერა, სახლში მიდის, ცოლშვილი, ზურგის შექცევის მაგიერ, თანაგრძნობას უცხადებს იმ ტანჯვაში, რომელიც მან თავის მოვალეობის ასრულების დროს განიცადა!

— არა, ეს ასე არ უნდა იყვეს!—წამოიყვირა ¡ოხუცებულმა,—შენ ასე უნდა მოიქცე: მკვლელს არ აძლევ საშუალებას, რომ სიკვდილს გაექცეს, მაშასადამე იმის სიკვდილს აუცილებლადა სთვლი, აიღე და დასაჯე! ასამართლებდა სიკვდილით დასჯას უწყვეტავ?.. მაშასადამე, შენ კანონის წმინდა სიმართლე გრწამს, მაშ, რალას უყურებ, აიღე და სისრულეში თითონვე მოიყვანე. ხელს აწერ გადაწყვეტილებას; რად გინდა ხელის მოწერა, აიღე პირდაპირ შენი გენერლის მუნდირით თოკი ხელში და ყელზე მოაბი, მერე კი მაგრა დასწიე ძირს!.. მაშინ ცამდის მართალი იქნები, რადგანაც შენ თითონვე მოჰკლავ. ამ შემთხვევაში შენ ან სიკვდილით დასჯის საშინელება არ გესმის და ბუნევრივად ჯალათი ხარ, ან კიდევ სიკვდილით დასჯის კანონის სიმართლე წმინდათა გრწამს!

— მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ?!—შეეკითხა გამომძიებელი და თან უმწეოდ ხელები გაშალა.—საზოგადოების დარაჯობა და სამსჯავრო, ხომ ვინმემ, უნდა იკისროს.

— უნდა იკისროს?—შეეკითხა ბრალმდებელი,—არა,—ვინ არ არის ამისი მოვალე... მაშ, რახან გინდათ, აი, რა ..

ცოტა ხანს გაჩუმდა, არ ვიცი იგონებდა რასმეს, თუ ვერ გადაეწყვიტნა ეამბნო, თუ არა.

— რა?—შეეკითხა გამომძიებელი და თან ბრალმდებლისაკენ უნებლიეთ მიიწია.

— აი, რა... მე... არ ვიცი. მაგრამ შემიძლიან ერთი ზღაპარი გითხრა... პირადად ჩემთვის ამ ზღაპარში დიდი აზრია დაფარული... ვსთქვათ ასე: ერთ ქალაქში, რასაკვირველია, ძალიან ძველ დროს, როდესაც ქალაქები არ არსებობდა, ძალიან ბედნიერი და კეთილი ხალხი სცხოვრობდა... და თითონ ქალაქიც ბედნიერი იყო. ამ ქალაქში არც ქურდობა, არც კაცის კვლა და არც სხვა რამე ავაზაკობა არა ხდებოდა. მთელი კანონმდებლობითი ძალა ერთ ქალაქთ-უხუცეს კაცს ჰქონდა მინდობილი, ამ ადამიანის სიტყვა, თავიანთ ლურჯ ცაზე და ხის ფეხსაცმელებზე მეტად სწამდათ. ამნაირ ბედნიერებაში კარგა დიდხანსა სცხოვრობდნენ, ბოლოს კი, უცბად, კაცის კვლა მოხდა!.. ერთი ლამაზი გოგონა, რომელიც მუდამ ცისფერი ლენტით დაიარებოდა, გათენებისას გახრწნილი და იმავე ლენტით დამხვრჩვალი ქუჩაში იპოვნეს. თუ ვინ გაჰბედა ამისთანა მხეცობა, ისიც მალე გაიგეს. ერთი ქარაფშუტა, ტრახტირის პატრონის შვილი იყო. მთელი ქალაქი მას, როგორც მი·სულელოს და ჟილეტზე ბჭყვრიალა ღილების მტარებელს, ისე იცნობდა. შეიპყრეს და ქალაქთ-უხუცეს მოჰგვარეს. მთელი ქალაქი თითქმის ჭკუაზე შეიშალა ამნაირ მხეცობით. ქალები კიოდნენ, კაცები თავიანთ ფეხსაცმელებსა ჰკარგავდნენ და გამოჩენილნი ქალაქის პირნი საცვლების ამარა გამორბოდნენ... და არავინ არ იცოდა რა ექნათ?.. თავის დღეში ვერ წარმოედგინათ, რომ შესაძლებელი იყო აეღოთ და ცოცხალი კაცი დაეხრჩოთ... და ისიც ამნაირი, ლამაზი, მშვენიერი, ყველასათვის საყვარელი გოგო, რომელსაც თავის დღეში არავისთვის არაფერი არ ეწყენინებინა!.. უბედურება ის იყო რომ თითონ მკვლელიც გადირია, იდგა და საშინელი ხმით გაჰკიოდა. თითონაც ვერ გაეგო, როგორ მოჰხდა? დიდი ხანია ქალი მოსწონდა, საჩუქრად მუდამ ლენტებს უზიდავდა, ქალი კი იმის მოტანილ ლენტებს არ იღებდა, მუდამ დასცინოდა. იმ ღამეს ქალს ბოსტნებთან შეხვედროდა, უნდა მოხვეოდა, მაგრამ ქალს ხელი ეკრა, მაშინ ძალად დაეწყო კოცნა, მერე ისეთი მხეცური სურვილი მოსვლოდა რომ წაექცია და გაეხრწნა, როდესაც ქალს კივილი დაეწყო, თურმე უნდოდა პირზე ხელი დაეფარებინა ¿ ბოლოს ისე გამხეცებულიყო, რომ მთლად დაეხრჩო! ეხლა აღარ იცოდა რა ექნა, ან ქალისთვის როგორ მოევლო.

მთელი ღამე პატივცემული მოქალაქენი სამოქალაქო სახლში მსჯელობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს ერთმა საიდღანაც მოიგონა შესანიშნავი ბიბლიური თქმულება:

როდესაც ქალაქთ-უხუცესმა აუხსნა, რომ ეგ იმას ნიშნავდა, რომ ის ახალგაზდა დაეხრჩოთ, ყველას გაეცინა. ეგ როგორ უნდა მოხდესო! ვინ დაახრჩობსო!..

სიმინდის საროში მანქანა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა. (იხ. დღევანდელი გაზეთი).

ბოლოს სამსჯავროს დღეც დადგა.

მთელი ხალხი სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი ქალაქთ-უხუცესის სახლის წინ შეიკრიბა. იმ ქერას ყველა შიშით უცქეროდა. მას თავისი საუკეთესო ოქროს ღილებიანი ჟილეტი ეცვა. დერეფნის წინ დამდგარიყო, ჯიბეებში ხელები ჩაეწყო და ხალხს გადასცქეროდა. ამაყი შეხედულება ჰქონდა! იქნება ესახელებოდა კიდეც, რომ ამოდენა ხალხი იმის გულისთვის შეიკრიბა. საქმე იმაშია, რომ იმან მშვენივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად იცოდა რა გადაწყვეტილებასაც დაადგა გამოჩენილ მოქალაქეების კრება, რადგანაც საუბრის დროს ის ქალაქთ-უხუცესის ფანჯარასთან იჯდა და ყურს უგდებდა.

— ავაზაკო, შენ დახრჩობის ღირსი ხარ!—დაუყვირა ხალხიდან მოხუცებულმა აფთიაქის პატრონმა, რომელსაც წინა ღამეს, თათბირის დროს ბიბლიის სიტყვებით მოინდომა განსაჩივრება.

— მოდი და დამახრჩე!—მოუსაზრდელად შეუბრუნა სიტყვა ქერამ, რადგანაც ამნაირი აზრი სისულელედ ჩასთვალა.

მოხუცებულმა აფთიაქის პატრონმა გაჯავრებით აიწია შუბლზევით ქუდი და გაჰშორდა.

აივანზე გაჰაღარავებული ქალაქთ-უხუცესი გამოჩნდა.

— მოქალაქენო!—წარმოსთქვა ოხვრით:—ისეთი რამ მოხდა, რომ ჩვენ თავის დღეში არ გვინახავს. შემაძრწუნებელი და გაუსწორებელი ავაზაკობაა!.. რა ვქნათ?

ხალხი გაჩუმდა. ახალგაზდა დაცინვით იცინოდა.

— გესმის,—მიუბრუნდა ახალგაზდას მოხუცებული, იმისი ხმა მკაცრად გაისმოდა:—შენ კაცის მკვლელი და ავაზაკი ხარ!.. შენ ჩვენი ძმა აღარა ხარ და ამიტომ უნდა მოგვშორდე!.. სადაც გინდა იქ წადი და ჩვენთან ნულარ დაბრუნდები, რადგანაც არ გვინდა უცქიროთ იმ სახეს, რომელსაც კაცის მკვლელობის ბეჭედი აზის.

ყმაწვილი გაყვითლდა. იმ ქალაქიდან თავის დღეში არავინ წასულა, ეს აზრი ყველასათვის საშიშარი და გასაკვირველი იყო. პირველად შეშინდა, მაგრამ ერთი დანაშაული კაცს მუდამ უღვიძებს და უწვრთნის მკაცრ ხასიათს.

— დიახ, სწორედ ეგრე!—ღიმილით უპასუხა ქერამ,—მე აქედან ვერსად ვერ წავალ!

ხალხი გაფითრდა, მოხუცებულმა აფთიაქის პატრონმა მოიხადა ქუდი და დედამიწაზე დაადგდ.

ქალაქთ-უხუცესი სახეზე არ შეიშალა, წამოდგა უფრო წინ და უთხრა:

— კარგი, დარჩი. იცხოვრე ჩვენთან. მაგრამ იცოდე, რომ შენ კაცი მოჰკალი და ეხლა შენ ჩვენ აღარა გვგევხარ. შენ დაამტკიცე, რომ სხვის სიცოცხლე არაფრად არ გიღირს, შენ შეგიძლიან მისი წართმევა. ნება მოგვეცი, რომ შენი სიცოცხლეც ისე დიდ საუნჯედ არ ჩავთვალოთ, როგორც წინად ვთვლიდით.

— როგორც გნებავდეთ!—უზრდელად უპასუხა დოინჯშემოყრილმა ქერამ.

— რომ იხრჩობოდე, ავად იყვე, შიმშილით ჰკვდებოდე და არავინ გიშველოს, მაშინ ჩვენ იმათ არ გავამტყუნებთ.

— მე თითონაც კარგად ვიცხოვრებ!—უპასუხა ახალგაზდამ და გაყვითლდა.

— კარგი, იცხოვრე!.. მაგრამ... თუ ჩვენ შორის არის იმისთანა კაცი, რომლის გულიც ვერ აიტანს შენს დანაშაულობას და არ მოინდომებს შენთან ერთად, როგორც ავაზაკთან, ერთ ცის ქვეშ იცხოვროს, ეხლავე უფლება ეძლევა მოგკლას ისე, როგორც შენ მოჰკალი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მშვიდობიანი ქალაქი ლურჯ ცის ქვეშ მოსვენებული იყო. მზე ანათებდა, გაყვითლებული და თავდაკარგული ხალხი გაჩუმებული იყო, სანთლის ფერი ქალაქთ-უხუცესის სახე ამაყად და მკაცრად დასცქეროდა.

ახალგაზდა დაკარგულივით აქეთ-იქით იცქირებოდა.

— ეს კაცი—მე ვარ!—წამოიყვირა ხმა მაღლა ქალაქთ-უხუცესმა, ამოიღო დანა და ქერას გულში დასცა.

როდესაც ის სისხლში სცურავდა, გაკვირვებულ ხალხის წინ მოხუცმა დანა ძირს დაადგდ.

— მქალაქენო!.. მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, რომ ავაზაკს და კაცის მკვლელს უნდა ჩვენში ეცხოვრა იმ დროს, როდესაც ამის მსხვერპლი დედამიწის ქვეშ დიდი ხნის დამპალი იქნებოდა. ის ისეთი ბედნიერი იყო, შეეძლო ეცხოვრა, დაემშვენებინა ჩვენი და თავისი სიცოცხლე, მაგრამ ამან აიღო და მოჰკლა, მოჰკლა მხეცურად, მკაცრად, შეუბრალებლად. როდესაც წარმოვიდგინე, როგორ ეხვეწებოდა, სცდილობდა თავის დახსნას, იმ დროს, როდესაც ეს ახრჩობდა და სხეულს სულს ასალმებდა, ვიგრძენ, რომ მასთან ცხოვრება არ შემეძლო, მუდამ იმ საცოდავ ქალის ლანდი თვალ-წინ უნდა წამომდგომოდა და მუდამ უნდა მხსომებოდა ჩემ სიცოცხლეში იმისთანა დღე, როდესაც ერთმა შემთხვევამ სისხლი გამიყინა და მე... უპასუხოდ დავტოვე. აი, ამ ჭირის აცილების გულისთვის მოვკალი.

— არა ვგრძნობ არც სინანულს, არც შეცოდებას, არც შიშს... მაგრამ მეც ეხლა კაცის მკვლელი ვარ, და თუ იპოვება თქვენში ისეთი კაცი რომელსაც არ უნდა, რომ მე მიცქიროს, მომკლას ისე, როგორც მე მოვკალი!..

დიდხანს სიჩუმე სუფევდა. დაღონებული ხალხი ქალაქთ-უხუცეს შესცქეროდა, მაგრამ გულში მის სიკვდილს არავინა ფიქრობდა, იმიტომ რომ იმან იმისთანა ტანჯვა აიტანა, იმიტომ რომ მის გულმა ავაზაკობას ვერ შეუძლო, გადასწყვიტა მოეკლა და თითონაც მომკვდარიყო. ხალხს მისდამი სიყვარული და პატივისცემა გაუორკეცდა. ქერას გვამს გაკვირვებით, მაგრამ დაუნანებელ დასცქეროდნენ. ხალხი ჩუმად იშლებოდა.

ყველაზე დიდხანს მოკლულის მამა დარჩა. სულ აქეთ-იქით იცქირებოდა და მარჯვენა ხელი ზურგზედ ქურთუკის ქვეშ ეჭირა. მოხუცებული ქალაქთ-უხუცესი დაღონებული დასცქეროდა მას და რაღაცას მოელოდა ის იყო ტრახტირის პატრონმა ფეხი წინ გადასდგა და უკან მიიხედა, დაროომ დაინახა მას ერთი ჯგუფი მოქალაქეებისა თვალყურს ადევნებს, სიბრაზისაგან და შიშისაგან გაყვითლდა, მოიკუნტა და გაიქცა.

მაშინ მოხუცებულმა გაიღიმა და სთქვა:

— მართლმსასჯულება მოხდა!

ამის შემდეგ სახლში წავიდა.

— ეს ხომ რიღაცის ჩმახვაა!—გააწყვეტინა გაშმაგებით თავის თავს ბრალმდებელმა,—არავითარი მართლსაჯულება არ არის, არავითარი სიმართლე არ არის, ისე არის მხოლოდ, რომ მე მთვრალი ვარ.

ჩუმად ჩაიცინა და ღვინით სავსე ბოთლი თავისკენ გაიცოცა.

— მე მარტო იმას ვიტყვი, რომ კაცის სიბრძნე ერთ გეზს მისდევს და ყოველთვის ხელმეორედ უბრუნდება იმ ადგილს, სადაც დიდი ხანია ყოფილა!

გამომძიებელი ბრალმდებელს დიდხანს შესცქეროდა, თავში ათას ნაირი დიდი აზრები მოსდიოდა, გულში ამ მოხუცებულისადმი პატივისცემა ეზრდებოდა. თუმცა, ბრალმდებელი ტუტუცი, ლოთი და გარყვნილების მიმდევარი იყო, მაგრამ მაინც კაცობრიობის ტანჯვა ვერ აიტანა და ცხოვრებას გაჰშორდა, იმიტომ რომ აქ, ამ ფუძეში არავისთვის საჭირო და სუყველასთვის დავიწყებული მომკვდარიყო.

როდესაც გამომძიებელი სახლში დაბრუნდა უგზო ტრიალ მინდვრით, რომელსაც ჩასული მთვარის სხივები ანათებდა, ის თავის თავს დამძიმებულად და ცუდათა გრძნობდა. მთელი სიცოცხლე სისულელედ წარმოუდგა. თავის თანამდეობის, მსაჯულების, ბრალმდებლობისა, კანონებისა და ყოველივე კაცობრიობის გახაზული წესდების სიძულვილი გულს ღრმად ედებოდა.

გათენებისას ჩაეძინა, სიზმარში ნახა: ვითომ გზის ორთავ მხარეს, სიბნელეში, რომელსაც რაღაც საიდუმლოების შიგნიდან გამონადენი სინათლე ანათებდა, ორი ვეებერთელა ყვითელი უძრავი სახით და შესაზარავი გულში ჩამწდომი თვალებით მოჯრილი თავი იდგა. ერთი თავი მოკლული ქალის თავი იყო, მეორე კი მკვლელისა. ვერიგინს უნდა იმათ შუა გაეარნა და ისე შეეშინდა, რომ მთლად ავადმყოფს და ოფლში გაწურულს მომაკვდავის თრთოლვით გამოეღვიძა.

ცხოვრების ახალი დღე იწყებოდა. შემოდგომის ნამით მოლურჯოდ დანამული ველი მქრალ ნაცრის ფერად გამოიყურებოდა.

ინი.



ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.